

## რა არის სასაქონლო ნიშანი ?

სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს ნებისმიერ ვიზუალურ ნიშანს, რომლითაც ერთი მენარმის საქონელი, განუული მომსახურება განსხვავდება მეორე მენარმის საქონლისაგან, განუული მომსახურებისაგან. სასაქონლო ნიშნის შერჩევის მიმართ მენარმეს კომერციული ინტერესი გააჩნია, რადგან ამ ნიშნის მეშვეობით ხდება მენარმის საკუთარი პროდუქციის ინდივიდუალიზაცია, მომხმარებელთან ურთიერთობის დამყარება, მათი ყურადღების მიქცევა და, შესაბამისად, რეკლამირებაც. სასაქონლო ნიშნის საშუალებით მომხმარებელი ბაზარზე არსებულ საქონელს შორის აკეთებს არჩევანს.

საქართველოში მოქმედებს კანონი „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 25 მაისიდან. სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით მიღებულია, ასევე, მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელთაგან ორი ხელშეკრულების მონაწილე საქართველოცაა. ეს ხელშეკრულებებია: სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (1994 წლის 16 იანვრიდან შეუერთდა საქართველო) და ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ მადრიდის ხელშეკრულების პროტოკოლი (1998 წლის 25 მაისიდან შეუერთდა საქართველო).

საქართველოს სავაჭრო ორგანიზაციაში მიღების შემდეგ, 2000 წლის 14 ივლისიდან ფრცელდება შეთანხმება ვაჭრობასთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრების ასპექტების შესახებ.

„სასაქონლო ნიშნების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია სასაქონლო ნიშნის ცნება, რომლის მიხედვითაც იგი წარმოადგენს სიმბოლოს ან სიმბოლოთა ერთობლიობას, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს, მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისაგან, მომსახურებისაგან. ამ განმარტების თანახმად, სასაქონლო ნიშანს ახასიათებს განმასხვავებლობის თვისება, რომელიც ფრცელდება როგორც წარმოებულ საქონელზე, ისე განუულ მომსახურებაზეც. ამიტომაა, რომ „სასაქონლო ნიშნის“ ქვეშ მოიაზრება როგორც საკუთრივ სასაქონლო ნიშანი, ისე მომსახურების ნიშანი და სავაჭრო ნიშანი (TRADE MARK).

კანონმდებელი სასაქონლო ნიშნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიიჩნევს, რომ ის გრაფიკულად გამოსახვადი ანუ ხილვადი (ვიზუალური) უნდა იყოს.

## როგორისახით შეიძლება შეგვხვდეს სასაქონლო ნიშანი ?

სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს სიტყვა ან სიტყვები, აგრეთვე, ადამიანის სახელი, ასოები, ციფრები, ბგერები, გამოსახულება, სამგანზომილებიანი ფიგურა, მათ შორის, საქონლის ფორმა, ან შეფუთვა, ისევე როგორც საქონლის სხვა გარეგნული გაფორმება ფერის, ან ფერთა კომბინაციის გამოყენებით; სასაქონლო ნიშანი შეიძლება გამოიხატოს სურნელის სახითაც. სასაქონლო ნიშნის სიტყვის სახით გამოხატვის მაგალითია „ფიტომალი“, რომელიც მედიკამენტის აღსანიშნავად გამოიყენება; სამგანზომილებიანი ფიგურის (მოცულობითი აღნიშვნის) სახითაა გამოსახული სამსხვიანი ვარსკვლავი „მერსედესის“ ავტომანქანებზე; თუ საწერი ქალაღდის მწარმოებელი არომატულ სურნელს მისცემს ნაწარმს, მომხმარებლისათვის ეს სურნელი იქნება სასაქონლო ნიშანი, რომლის მეშვეობით კონკრეტული მწარმოებლის საწერი ქალაღდის შეცნობა შეიძლება.

„სასაქონლო ნიშნების“ შესახებ კანონი კრძალავს ისეთი აღნიშვნის რეგისტრაციას, რომელიც შედგება საქონლის გეოგრაფიული წარმოშობის დასახელებისაგან, მაგრამ თუ გეოგრაფიული წარმოშობის დასახელებას არა აქვს კავშირი საქონელთან, მაშინ მისი რეგისტრაცია ვერ აიკრძალება, მაგალითად, საკმაოდ ცნობილია სასაქონლო ნიშანი „უშბა“ საქონლისათვის — არაყი.

ბგერითი ნიშნები, ძირითადად, გამოიყენება მომსახურების სასაქონლო ნიშნად. ტელე ან რადიოგადაცემების სფეროში ფართოდაა გაფრცელებული ბგერითი გახმოვანება. მაგალითად, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის, ან „მოამბის“ მელოდია. სასაქონლო ნიშნის სახით შეიძლება გამოიხატოს რომელიმე ნადირის, ვთქვათ, ლომის ღრიალის გამომხატველი ბგერა.

## როგორ უნდამოვიპოვოთ სამართლებრივი უფლება სასაქონლო ნიშანზე ?

ანგლო-საქსური (პრეცედენტული) სამართლებრივი სისტემის ქვეყნებისათვის (აშშ, ინგლისი) სასაქონლო ნიშანზე უფლების მოსაპოვებლად არ არის აუცილებელი რეგისტრაცია. ამ ქვეყნებში მენარმე თვითონ ირჩევს, ან ქმნის მისთვის მისაღებ სიმბოლოს და იყენებს თავისი საქონლის აღსანიშნავად. ამ დროს სასაქონლო ნიშანზე უფლების წარმოშობა ხდება კონკრეტული აღნიშვნის გამოყენების ფაქტის საფუძველზე და საამისოდ არ არის აუცილებელი რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვა.

კონტინენტური ევროპის სამართლის მიმდევარი ქვეყნების (საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ა.შ.) კანონმდებლობით კი სასაქონლო ნიშანზე უფლების წარმოშობა ხდება მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს მიერ რეგისტრაციის საფუძველზე. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია წარმოშობს მასზე განსაკუთრებულ უფლებას. საქართველოს კანონმდებლობა სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებით, ძირითადად, იზიარებს კონტინენტური ევროპის სამართლის პრინციპებს.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია ხდება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის — „საქპატენტის“ მიერ. რეგისტრაციის თაობაზე წინადადებით მიმართვის უფლება აქვს როგორც ფიზიკურ (მოქალაქეს), ისე იურიდიულ პირს. ამდენად, ნებისმიერი მოქალაქე ან იურიდიული პირი შეიძლება იყოს რეგისტრირებული, როგორც სასაქონლო ნიშნის მფლობელი, მიუხედავად იმისა, ახორციელებს თუ არა იგი სამენარმეო საქმიანობას. სასაქონლო ნიშანზე უფლების მოსაპოვებლად დაინტერესებულმა პირმა თავდაპირველად უნდა შეარჩიოს სასურველი სიმბოლო, რომლის დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნას პარიზის კონვენციის მე–ნ მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ სასაქონლო ნიშანი უნდა აკმაყოფილებდეს ორ აუცილებელ პირობას:

1. იგი უნდა იყოს განმასხვავებელი; სასაქონლო ნიშანმა ერთი და იმავე კატეგორიის სხვადასხვა საქონელი უნდა განასხვავოს ერთმანეთისგან. მაგალითად, სიტყვა „ვაშლი“ (APPLE) ან ვაშლის გამოსახულება არ შეიძლება იყოს რეგისტრირებული, როგორც სასაქონლო ნიშანი ვაშლისათვის, მაგრამ ნიშანი “APPLE” მკვეთრი განმასხვავებელია კომპიუტერების წარმოებაში.
2. სასაქონლო ნიშანი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მორალს ან საზოგადოებრივ წესრიგს.

მაგალითად, არ შეიძლება სასაქონლო ნიშნად შეირჩეს ისეთი გამოსახულება, რომელიც გამოხატავს, ვთქვათ, ფაშისტური პარტიის ან ტერორისტული დაჯგუფების ემბლემას. ამრიგად, თუ სასაქონლო ნიშანს არ გააჩნია განმასხვავებლობა, ან უპირისპირდება საზოგადოებრივ ინტერესებს, იქმნება რეგისტრაციაზე უარის თქმის აბსოლუტური საფუძველი.

საქართველოში სასაქონლო ნიშანზე უფლების მოპოვება ხდება მხოლოდ რეგისტრაციის საფუძველზე, თუმცა „სასაქონლო ნიშნების“ შესახებ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, თუ იდენტური ნიშანი ერთსა და იმავე დღეს იქნა წარდგენილი სარეგისტრაციოდ, უპირატესობა ენიჭება იმ ნიშანს, რომელიც პირველად იქნა გამოყენებული. ამრიგად, სასაქონლო ნიშნის ფაქტობრივი გამოყენება იძლევა

უპირატესობის უფლებას მხოლოდ რეგისტრაციის დროს, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე ნიშანზე ორი ან მეტი მენარმე აცხადებს პრეტენზიას.

თუ „სასაქონლო ნიშნების“ შესახებ კანონის თანახმად, სასაქონლო ნიშნის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, კანონმდებლობა განსხვავებულ მოთხოვნას უყენებს კოლექტიური ნიშნის სუბიექტს. კოლექტიური სასაქონლო ნიშნის უფლება შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ გაერთიანებას, მიუხედავად იმისა, იურიდიული პირია ის თუ არაკომერციული საქმიანობის განმახორციელებელი. კოლექტიურ გაერთიანებას ან კავშირს უფლება აქვს, მასში შემავალ საწარმოს დართოს ნება, ისარგებლოს მისი სასაქონლო ნიშნით.

## როგორიწერება განაცხადი სასაქონლო ნიშნის მიღებაზე ?

სასაქონლო ნიშანზე განაცხადს ყველა ქვეყანაში ერთი და იგივე მოთხოვნები წაეყენება. ამიტომ, საქართველოში სასაქონლო ნიშნის უფლების მოპოვების თაობაზე შეტანილი განაცხადიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ საერთაშორისო მოთხოვნებს: დადგენილი ფორმის განაცხადი უნდა შეივსოს ქართულ ენაზე, სადაც მითითებული იქნება თხოვნა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, განმცხადებლის სახელი (სახელწოდება) და ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი); განაცხადს თან უნდა ერთვოდეს: სასაქონლო ნიშნის გამოსახულება, საქონლის ან მომსახურეობის ჩამონათვალი; თუ განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მიერ, მისი ვინაობა და მისამართი; თხოვნა საკონვენციო ან საგამოფენო პრიორიტეტით სარგებლობის შესახებ (განმცხადებლის სურვილისამებრ) და სხვა მონაცემები.

კოლექტიური სასაქონლო ნიშნის მიღების განაცხადს ესაჭიროება კოლექტიური ნიშნის დებულება. კოლექტიური ნიშნის დებულებაში მითითებული უნდა იყოს: გაერთიანების სახელწოდება, მიზნები და ადგილმდებარეობა; იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნული კოლექტიური ნიშნით სარგებლობის უფლებამოსილება, მათი სამართლებრივი სტატუსი და მისამართი; იმ საქონლის ნუსხა და ერთიანი ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლისთვისაც მოითხოვება კოლექტიური ნიშნის რეგისტრაცია; კოლექტიური ნიშნით სარგებლობისა და გამოყენების კონტროლის პირობები, უფლება-მოვალეობები და სანქციები კოლექტიური ნიშნის დებულების დარღვევისათვის. თუ კოლექტიური ნიშანი შეიცავს გეოგრაფიულ დასახელებას, მაშინ დებულება

უნდა ითვალისწინებდეს, რომ ნებისმიერ პირს, რომლის საქონელიც დაკავშირებულია მოცემულ ადგილთან, უფლება აქვს, გახდეს გაერთიანების წევრი და შეუძლია ისარგებლოს კოლექტიური ნიშნით.

თუ მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, საჭიროა შესაბამისი ქვეყნის უწყების მიერ დამონმებული განაცხადის წარდგენა. საკონვენციო პრიორიტეტი წარმოადგენს სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ პარიზის კონვენციის წევრი ქვეყნების განმცხადებელთათვის გათვალისწინებულ შეღავათს, რომლის დადგენა ხდება კონვენციის მონაწილე რომელიმე ქვეყანაში სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე შეტანილი პირველი, სწორად გაფორმებული განაცხადის თარიღით, მხოლოდ იმ პირობით, რომ განაცხადი, რომელზეც მოითხოვება საკონვენციო პრიორიტეტი, შეტანილია კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყანაში კონვენციით განსაზღვრულ ვადაში (სასაქონლო ნიშანზე დადგენილია 6 თვე). თუ პრიორიტეტი მოითხოვება ორ ან მეტ განაცხადზე, მაშინ პრიორიტეტის თარიღი განისაზღვრება უფრო ადრინდელი განაცხადის საფუძველზე. განმცხადებელმა, რომელსაც სურს ისარგებლოს საკონვენციო პრიორიტეტით, ამის შესახებ უნდა მიუთითოს საპატენტო უწყებაში განაცხადის შეტანისას და თან დაურთოს დამადასტურებელი დოკუმენტი, ან წარადგინოს ის „საქპატენტი“ განაცხადის შეტანიდან სამი თვის ვადაში.

თუ პირი მოითხოვს საგამოფენო პრიორიტეტს, მან „საქპატენტი“ განაცხადთან ერთად უნდა წარადგინოს ცნობა საერთაშორისო გამოფენის ადმინისტრაციისაგან საქონლის ექსპონირების თაობაზე.

თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე განაცხადი შეტანილია წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადს უნდა დაერთოს წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი საბუთი. განაცხადს, ასევე, უნდა დაერთოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. „საქპატენტი“ ზემოაღნიშნული საბუთების მიღების შემდეგ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისათვის ატარებს სასაქონლო ნიშნის ექსპერტიზას. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ „საქპატენტი“ იღებს გადაწყვეტილებას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, უარის შემთხვევაში კი მიუთითებს კონკრეტულ მიზეზებს.

### როგორდება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია? რაარის განსაკუთრებული უფლებები სასაქონლო ნიშანზე?

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, „საქპატენტი“ ერთი თვის ვადაში აქვეყნებს ინფორმაციას რეგისტრაციის შესახებ. გამოქვეყნების დღიდან სამი თვის განმავლობაში ნებისმიერ პირს შეუძლია გაასაჩივროს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში. თუ დადებითი გადაწყვეტილება არ გასაჩივრდება, „საქპატენტს“ შეაქვს შესაბამისი მონაცემები სახელმწიფო რეესტრში და აქვეყნებს ინფორმაციას რეგისტრირებული ნიშნის შესახებ სამრეწველო საკუთრების ბიულეტენში. ამის შემდეგ დაინტერესებულ პირს შეუძლია დააყენოს საკითხი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაბათილების შესახებ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში, ან სასამართლოში.

„საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნების რეესტრს აწარმოებს პარიზის კონვენციის მოთხოვნის საფუძველზე.

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის საფუძველზე პირს უწინდება განსაკუთრებული უფლებები სასაქონლო ნიშანზე. „სასაქონლო ნიშნების“ შესახებ კანონის მე-9 მუხლში მითითებულია, რომ განსაკუთრებული უფლების მქონე პირს შეუძლია აუქრძალოს მესამე პირს თავისი სასაქონლო ნიშნის იდენტური ან მსგავსი ნიშნის გამოყენება. სასაქონლო ნიშნის უფლების მქონე პირს შეუძლია თავისი ნებით გამოიყენოს ეს ნიშანი, განსაკუთრებული უფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვას, მთლიანად ან ნაწილობრივ გასცეს ლიცენზია სასაქონლო ნიშნით სარგებლობაზე. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განსაკუთრებული უფლების გადაცემა შეიძლება უფლებამოსილი პირის მემკვიდრეზე ან უფლებამონაცვლეზე. ასევე, შესაძლებელია ამ უფლების გაჩუქებაც. სასაქონლო ნიშნის უფლების მქონე პირს კანონმდებელი გარკვეულ მოვალეობებსაც აკისრებს. კერძოდ, თუ დროის გარკვეული უწყვეტი პერიოდის განმავლობაში ნიშანი არ იქნება გამოყენებული, მაშინ განსაკუთრებული უფლება უქმდება. ეს პერიოდი არ უნდა იყოს ხუთ წელიწადზე ნაკლები.

მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლება მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ყოველი 10 წლის გასვლის შემდეგ ამ უფლების მქონე პირმა განაცხადებით უნდა მიმართოს



საპატენტო უწყებას მისი მოქმედების ვადის მომდევნო 10 წლით გაგრძელების თაობაზე და გადაიხადოს ვადის გაგრძელებისათვის დაწესებული საფასური.

სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მოქმედება შემოფარგლულია იმ ქვეყნის ტერიტორიით, სადაც მოხდა სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. მაგრამ ამ უფლების მოქმედება შეიძლება გასცდეს ერთი ქვეყნის ტერიტორიას იმ შემთხვევაში, თუ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია რეგიონალური ორგანიზაციის უწყებაში, ან საერთაშორისო რეესტრში.

განსაკუთრებული უფლებების მოქმედების სფერო შემოიფარგლება, ასევე, იმ საქონლით, რომელიც მოცემულია განაცხადებულ ჩამონათვალში. მაგალითად, თუ სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მსუბუქი ავტომობილებისათვის, განსაკუთრებული უფლება იმავე პირის მიერ წარმოებულ სათამაშოებზე ან ალკოჰოლურ პროდუქტზე ვერ გავრცელდება. სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირმა მუდმივად თვალყური უნდა ადევნოს, რათა ბაზარზე არ მოხდეს იდენტური, ან მსგავსი საქონლის ნიშნის უნებართვო გამოყენება იმავე, ან მსგავსი საქონლისათვის. იდენტური სასაქონლო ნიშნის უნებართვო გამოყენება ინტელექტუალური საკუთრების სამართალში ცნობილია კონტრაფაქციის სახელწოდებით. სასაქონლო ნიშნის მეორე სახის დარღვევას წარმოადგენს მიმსგავსება, ანუ მსგავსი სასაქონლო ნიშნის გამოყენება, რომელსაც იმიტაციას უწოდებენ. სასაქონლო ნიშნის უფლების მქონე პირმა დროზე უნდა გამოავლინოს თავისი უფლების დარღვევა და სასამართლოში სარჩელის წარდგენის მეშვეობით მოითხოვოს მისი სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენების აკრძალვა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლით კი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა სასაქონლო ნიშნის, ან სხვა კომერციული აღნიშვნის მართლსაწინააღმდეგოდ გამოყენებისათვის.

მომზადებულია სამართლებრივი განათლების ასოციაციის მიერ